საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება №15

2011 წ. „10“ 02

ქ. თბილისი

სსიპ - საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭებისა და სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-13 მუხლის საფუძველზე, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 10 თებერვლის №3 სხდომის ოქმის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. მიჩნეულ იქნას, რომ სსიპ - საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი აკმაყოფილებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებს.

2. სსიპ - საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტს მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტების ადგილების რაოდენობა განესაზღვროს 240 ადგილით.

3. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 10 თებერვლის №3 სხდომის ოქმის მე-7 ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

4. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

საბჭოს თავმჯდომარე

კახი ყურაშვილი

სხდომის მდივანი

ანა კლდიაშვილი